რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი, სტრიქონზე 8 კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ყოველ-დღიური გაზეთი
„დროება“
პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.
ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამა

(„ჩრდილოეთ-მორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურლი, 5 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის თაობაზედ, რომ კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზების საზოგადოებას უფლება მიენიჭა შეისყიდოს ბათუმში და ბაქოში საჭირო ადგილები ნავთის საწარმოებლად.

ღენერალ-მაიორს ვლანგალს მიეცა ტაინი სოვეტნიკის ჩინი და უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა.

„მართებლობის მოამბე“ აცხადებს, ტყუილია ის ხმებიო, ვითომც მთავრობას განზრახვა აქვს, რომ სამხრეთ სლავიანებს დაურიგოს ადგილ-მამული ყირიმში.

პეტერბურლი, 6 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში“ აცხადებს: არაქრისტიანთ აღეკრძალებათ საქრისტიანო სამკაულებით გაჭრობა (ხატებით, სას. პირთ შესამოსლით, წმ. სანთლით და სხვ)

„გოლოსში“ იწერებიან: მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორმა იუსტიციის მინისტრს წარუდგინა ქაღალდი, რომლითაც ნება-რთვას ითხოვს, რომ „მოსკოვის უწყებანის“ რედაქტორი კატკოვი სასამართში იქმნება მიცემული „დასჯათა წესდების“ მე-1040 მუხლის დარღვევის (ცილისწამებისათვის).

სტამბოლი, 6 ივნისს. დევრიშფაშის მაგიერად ეგვიპტეში ჭაზი მუხთარ-ფაშა იგზავნება; ამბობენ, ოსმალეთი ინგლისის ხომალდებით ჯარებს გზავნის ეგვიპტეში იმ განზრახვითო, რომ ქედივი დაიცვასო. ეგვიპტეს ჯარები კი დათხოვნილი იქნებაო. ინგლისის ესკადრა სუეცის არხის დაცვას ჭკისრულობს.

პეტერბურლი, 7 ივნისს გაზ. „გოლოსში“ სწერენ: თერგი საშინლად ადიდდა ყიზლარის ვენახების გაფუჭების შიში აქვთ.

ჭამბურღში მოკვდა მწერალი გრაფ სოლოგუბი.

გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ იწერებიან რომ მთავრობა აპირებს ახალ წესდების გამოცემას უნივერსიტეტებში ლექციების კითხვისა და სმენის თაობაზედ, აგრეთვე ეგზამენების შესახებ.

სადებავების ბაჟი უნდა მოუმატონ ფუთზე 2 მან. და 50 კ. შექნება.

ამბობენ, რომ თუ ღენ. ტრეპოვი სახელმწიფო პოლიციის გამგედ დაინიშნა, ამ შემთხვევაში იმის თანაშემწედ არხანგელსკის ღუბერნატორს ბარანოვს მოიწვევენო.

პეტერბურლის ბირჟა, 4 ივნისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94—87 |
| მეორესი — — — — | 90—50 |
| მესამესი — — — — | 90—50 1/2 |
| მეოთხესი — — — | 90—62 |
| მეხუთესი — — — | 90—12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89—37 1/2 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—35 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—37 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8—10 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 217—25 |
| მეორე სესხის — — | 210—50 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—35 | პენსი |
| ჰამბურღი — | 207—75 | ცენტი |
| პარიჟი — — | 256— „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## ყოველ მოვლენას თავის მიზეზი აქვს

„დროების“ მე-113 №-ში წავიკითხე სტატია: „საყურადღებო შედარება“. ეს საყურადღებო შედარება არის შედარება ჩვენი სკოლების რიცხვისა სომხების სკოლების რიცხვთან. მართლაც უნდა სთქვას კაცმა, რომ გასაკვირველ რიცხვამდის მისულა სომხების სკოლები, რომელნიც არსებობენ მათი საკუთარის საშუალებით, მთავრობის შეუწევნელად.

გარდა რიცხვისა, რამდენათაც მე ვიცი, სომხების სკოლები თვისებითაც სჯობიან ჩვენ სკოლებს.

ზევით მოყვანილ სტატიაში „დროება“ ცდილობს, დაგვანახოს ზოგიერთი მიზეზები ამ მოვლინებისა. ჩემის აზრით, ერთი და ორი მიზეზი არა აქვს ამ მოვლენას.

ამ მიზეზების გაგება თუ გვინდა, ჩვენ უნდა გადავავლოთ თვალი სხვადა-სხვა ნაკლულევანებას ჩვენ ცხოვრებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველ კაცს როგორღაც ჩვეულებად არა გვაქვს ჩვენი ნაკლულევანების შენიშვნა და იმის გასწორება. ჩვენი ჩვეულება იქამდის მიდის, რომ ზოგიერთ ჩვენს წინანდელს ანუ ახლანდელს ცუდს ჩვეულებას კარგ მნიშვნელობას ვაძლევთ, და, რასაკვირველია, იმის გამო ეს ჩვენი ნაკლულევანება მოუსპობელი რჩება.

ზოგიერთს ჰგონია, რომ თავის ქვეყნის ხალხის ნაკლულევანების გამოჩხრეკა, და იმის გაკიცხვა სამშობლოს შეურაცხ-ყოფას მოასწავებდეს. ეს არის შეცდომილი და ცუდი აზრი, რომელსაც შეუძლია დიდი ვნების მოტანა.

ბევრს ჩვენ მკითხველთაგანს გაეგონება ერთი გერმანიის ნატურალისტის, კარლ ფოხტის, სახელი. ეს სწავლული არა ჰგავს სხვა სპეციალისტებს: ბუნების საგნებს გარდა, ბევრ რამეზე სწერა მან თავის სიცოცხლეში და ეხლაც სწერს. ამ დღეებშიაც წავიკითხე დიდი სიამოვნებით ერთი იმის სტატია ახალ მიცვალებულ ინგლისის გამოჩენილ და ყველასთვის უკვდავ სწავლულზე, ჩარლს დარვინზე. აი ამ ფოხტმა დასწერა ერთს მისს თხზულებაში სტატია, რომელსაც დაარქვა „სამშობლური გრძნობა“. თუმც ეს თხზულება სტუდენტობაში წამიკითხავს და ახლა არა მაქვს ხელში, მაგრამ მახსოვს, რომ ფოხტი განმარტებს ხსენებულ სტატიაში თუ რა დიდი გრძნობაა სამშობლოს სიყვარულის გრძნობაო და რა ძვირფასია ის ყოველის კაცისათვის სანამ არ დააბრმავებსო; ამიტომ უნდა ეცადოს კაცი რომ არ დაბრმავდეს სამშობლოს სიყვარულის გრძნობით და ყოველივე ნაკლულევანება დაინახოს თავის სამშობლოსიო. თავის სტატიაში ფოხტი იხსენებს რუსეთის მწერალს, გოგოლს და ამბობს, როდესაც ეს გამოჩენილი მწერალი თავის სამშობლოს ნაკლულევანებათა ეძიებდა და ამჟღავნებდა, მაშინ ის ხელთათმანებს კი არ ჩამოიცვამდა ხელებზედ, არამედ დათვის ტორებით ჰკიდებდა ხელებსო.

აი მკითხველო, ჩვენც რომ დათვის ტორებით წავკიდოთ ხელი ჩვენს სამშობლოს და გამოვაჩინოთ მისი ნაკლულევანებანი და მისი წყლულებანი, მაშინ, როგორც სარკეში, ისე დავინახავთ იმ მიზეზებს, რომლის გამო ჩვენ ცოტა და ისიც უხეირო სკოლები გვაქვს. განა სკოლები არ არის საუკეთესო ნაყოფი ხალხის ცხოვრებისა? განა შეუძლია კარგი სკოლები და ბევრი სკოლები გაიჩინოს იმ ხალხმა, რომლის ცხოვრება საზოგადოდ ცუდად მიდის? განა ჭირიანი ხე მოიტანს კარგ ნაყოფს?

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## დღიური

გუშინ, 6 ივნისს, სააზნაურო სკოლის ზალაში იყო წლიური საერთო ყრილობა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.“ კრების გახსნისა-თანავე გამგეობის სეკრეტარმა ბ. უიფშიძემ წაიკითხა გავლილ წლის საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიში. შემდეგ მომავალ წელს მოსალოდნელ ხარჯთა-აღრიცხვა შეუდგნენ; ხანგრძლივი ბაასი ატყდა ბათუმის სკოლის თაობაზედ, ორიოდე პირნი აღმოჩნდნენ კრებაში, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ეს სკოლა საზოგადოებას ერთობ ძვირად უჯდება (წელიწადში 1500 მან.) და სარგებლობა კი იმდენი არ მოაქვსო, რადგან იქ მაჰმადიან ქართველების შვილები არ იზრდებიანო; უკეთესი იქნებაო რომ სადმე შუაგულ საქართველოში გავხსნათ სამაგალითო სკოლა და ეს ფული იმას მოვახმაროთო. ეს უსაფუძლო აზრი არ მიიღო საზოგადოებამ და თითქმის ერთ-ხმად გარდაწყვიტა, რომ ბათუმში სკოლა დარჩეს და, თუ საშუალება იქნება, სხვაგანაც სადმე ბათუმის მაზრაში კიდევ გაიხსნას ერთი სკოლა.

მომავალს წლისათვის მოსალოდნელ ხარჯთა აღრიცხვის (სმეტის) დამტკიცების შემდეგ, კრება გამგეობის წევრთა არჩევას შეუდგა. საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ, ერთხმად, უკენჭოდ არჩეულ იქმნა თ. ივ. კოსტ. მუხრანსკი. წევრებად: თ. ილ. გრ. ჭავჭავაძე, ი. ს. გოგებაშვილი, გ. დ. ქართველოვი, ა. ი. სარაჯოვი, ი. გ. მაჩაბელი, მღ. დიმ. ჯანაშვილი, გ. მ. თუმანიშვილი, ს. ს. მესხი და ნ. ზ. ცხვედაძე.

დაწვრილებითი ანგარიში ამ კრებისა შემდევისათვის.

* * *

გაზ. „გოლოსში“ დაბეჭდილია, რომ კავკასიის მთავარ მმართებელმა თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა 50,000 მან. ითხოვა ხაზინიდამ კალიის გასაწყვეტათაო. ფინანსთ სამინისტრო დათანხმებულია ამ ფულის ხაზინიდამ მიცემაზედ.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, თ. დონდუკოვ-კორსაკოვი შუამდგომლობს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ რადგან ბათუმისა და ყარსის ადგილობრივ მილიციებს დიდი სარგებლობა მოაქვს ამ ახლად-შეძენილ ქვეყნებში, ამის გამო ეს მილიციები ერთის წლის ვადით კიდევ დარჩნენ

ისევ ისე, როგორც ახლა არიანო და შემდეგ კი ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან სამუდამო მილიცია შესდგესო. შექველია, რომ უმაღლესი მთავრობა ამ გონიერ შუამდგომლობას შეიწყნარებს.

***

აემბობენ რომ როსტოვო-ვლადიკავკაზის გზაზედ სადღაც ხიდი გაფუჭებულა; ამის გამო რუსეთის ფოჩტა ეს ორი დღეა, აღარ მოგვდის.

***

კავკასიის მთავარ-მართებელმა დაამტკიცა ზორის რკინის ხიდის გაკეთების პროექტი. ამ ხიდის გაკეთება ინჟინერმა ზეზემანმა იკისრა 66,000 მანეთად (ექვსი ათას ექვსას თუმნათ). როგორც პირობაში სწერია, ხიდი მომავალს წლის 4 ივლისისათვის მზათ უნდა იყოს. ძლივს ეშველებათ გორელებს!..

***

ქართლიდამ გვწერენ, რომ ქარელიდამ მოკიდებული ბორჯომის ხეობამდინ პურის მოსავალს უჩივიანო, მოსცდაო: პირველი სიმინდის თოხნა ახლა იწყებაო.

***

ქართლიდამვე გვაცნობებენ, რომ სოფ. ხცისში თ. თომა ციციშვილს ხალხის დახმარებით აუშენებია ახალი ეკკლესია. საზოგადო ხალხი ემადლიერება ამ თომა ციციშვილსო, როგორც ეკკლესიის აშენებისათვის, აგრეთვე სხვა მხრითაც დახმარებისათვისო.

„ურიგო არ იქნებაო, უმატებს ჩვენი კორრესპონდენტი, რომ ამ მშვენიერ ეკკლესიასთან ერთი სკოლაც გაუმართოს სოფელს და მათ თავის სახელი სადიდებელი გახადოსო“.

***

უკანასკნელს 21 ნომერში ქუთაისის გაზეთის „შრომისა“ რამდენიმე სტატია ახალის შრიფთით არის დაბეჭდილი. ერთის შეხედვით ეს შრიფთი უფრო ბერძნულსა ჩამოჰგავს და მარჯვედ წაკითხვა ქართველ კაცს თითქმის გაუჭირდება, რადგან ზოგიერთს ასოებში შესამჩნევი ცვლილებაა მოხდენილი. მაგალითად ე-ში, უ-ში და სხვ. და კაცს თვალი უჭრელდება კითხვის დროს; მაგრამ მაგიერად ღირსება ამ შრიფთისა ის არის, რომ თუმცა ყოველ ასოს სხვილი მუხლები აქვს, მაგრამ ზოგიერთი ასოები შევიწროებულია (მაგ. დ, ლ, რ და სხვ.) და ზემოთა ამვერილი და ქვემოთ დაშვერილი წვეროები ჩვენის ძველის ანბანისა თითქმის ერთი-ორად შემოკლებულია და ამის გამო ერთსა და იმავე სტრიქონში და ერთსა და იმავე ალაგში ამ ახალის შრიფთით დაწერილი უფრო მომეტებული დაეტევა, ვინემ ძველის „მელიქოვის“ ანუ „აკადემიურის“ შრიფთითა. ერთი ნაკლულევანებაც ამ შრიფთისა: მთავრული ასოები არა აქვს.

ჩვენი სტამბა ისე ღარიბია, ისე ნაკლებათა გვაქვს სხვა-და-სხვა ხასიათის შრიფრთები, რომ, თუ საზოგადოებამ მიიღო, ეს შრიფთიც შეძინებას შეადგენს ჩვენს სასტამბო ხელოვნებაში. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ტფილისში ვინც კი ნახა ეს ახალი (ბ-ნი პირ. ლორთქიფანიძისაგან შედგენილი) შრიფთი, თითქმის არავის არ მოეწონა: თვალები უჭრელდებათ, პირველში წაკითხვა ეძნელებათ.

***

გუშინ, კვირა საღამოს, დიდუბეში დანიშნული იყო ჭიდაობა. ორი მოჭიდავე გამოჩნდა, რომელთაც ბოლდანელთან შებმის სურვილი განაცხადეს: ერთი ვიღაც აელაბრელი სომეხი და მეორეც თათარი. მაგრამ იმდენი ხალხი მოაწყდა საჭიდაო ალაგს (ათი ათასზე მეტი იქნებოდა) და ისეთი უწესოება და უთაურობა იყო, რომ წრის გაკეთება ვერ მოხერხდა, ყოველის მხრით აწვებოდნენ, იშლებოდნენ, ასე რომ მოთავენი იძულებულნი იყვნენ თავიანთი ფალავნები წაეყვანათ და ამ ნაირად ჭიდაობა ვერ მოხერხდა.

***

ქალაქში ნამდვილი ჩვენებური ტფილისური ზაფხული დადგა და ამის გამო ხალხი ნელნელა სოფლებში და აგარებში ელაგება.

***

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი თეატრალური შენიშვნა ბ. ალ. აკოფოვისაგან:

„მესამედ წარმოადგინეს „სამშობლო“. ქალაქის ტრუპპას დაეხმარნენ ქუთაისის მოთამაშენიც. საზოგადოებაც დიდი დაესრო. როგორცა ჰგავს, ქუთათურებს ძრიელ მოსწონთ ეს პიესა და ყოველ ლეონიძის სიტყვაზედ ალტაცებაში მოდიან. ჯერ მოთამაშეს არ გაუთავებია სიტყვა, შეიქმნება „ბრავოს“ ყვირილი და ტაშის კვრა. დიდი ურიგობაა ამ გვარი ხმაურობა იმ დროს, როცა დუმილი საჭიროა; სრულებით არ ისმის აკტიორების სიტყვები. ზანა არ შეიძლება სიტყვის დასრულების შემდგომ, მოთამაშეთ განეცხადოს მოწონება?

„ეს მესამე წარმოდგენა უფრო კარგი იყო, ვიდრემ პირველი ორი. მიზეზი გახლავთ ბ. მესხიევი, რომელიც თამაშობდა ლევან ხიმშიაშვილის როლს. მესხიევს ეტყობა დიდი ნიჭი დრამატიული აკტიორისა. მეტად კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში. მხოლოდ ძრიელ კარგი იქნება, რომ ზომიერათ აქანოს თავი; მეტის-მეტ თავის ჰქანაობას ცუდი შთაბეჭდილება აქვს საზოგადოებაზედ.

„ქალბატონი ძლიაშვილისა (ქეთევანის როლში) სუსტათ თამაშობდა. ერთგვარი თამაში, ერთგვარი ხმა, სახის შეუცვლელობა არ ჰშვენის ქეთევანს, რომელის გული მუდამ წუთში იცვლება სხვა და სხვა სულიერის მოძრაობით: იმედით და უიმედობით, სიყვარულით და სიმძულვარით, სინიდისის მხილებით და სინიდისის სიბნელით. ძლიაშვილის ქალს მიეტევება ეს სისუსტე, როგორც ახალ მოთამაშეს ამ გვარ ძნელ როლში. მაგრამ თუ ბეჯითობა იხმარა და გულით მოეკიდა სცენას, წესიერი აკტრისა იქნება ქართული სცენისათვის.

„სამეგრელოს ბატონის - შვილის როლში ბატონი მიქელაძე ჩამოგავდა მოსამსახურე იმერელს. ამ ბატონმა რომ თავი დაგვანებოს და სცენაზედ ხშირად არ გვეჩვენებოდეს, ბევრად სჯობია. ამ გვარ პირებისაგან საზოგადოებას ხალისი ეკარგება თეატრისადმი.“


# განცხადებანი

კერძო სასწავლებელი კლიუჩარევისა და ზაგუმენაგოსი (ადრინდელი ტერ-აკოფოვისა) ამ თავითვე იღებს ყმაწვილებს, რომელთაც არ იციან ან თუ იციან ცოტათ რუსული ენა, ამ ენაზედ ვარჯიშობისათვის და პირველ დაწყებათი სწავლისათვისაც.

ადრესი სასწავლებლისა: სოლოლაკი, ბაღის ქუჩა № 38 (6—5)

---

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

„ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—6)

---

მერვე კლასსის გიმნაზიელი ამლევს გაკვეთილებს

ადრესი „დროების“ რედაქციაში. (6—1)

---

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდი ძალიანი ჩაი პირველ მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპიროსები 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ; მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—87)

---

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

---

დაიბეჭდა და ისყიდება

ქურდი

ყარამანის შვილის მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო პობალაძესთან.

---

ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

---

ფაბრიკა

ძმათა ბუხთა ვარშავაში

Браттья Бухъ въ Варшавѣ

ფურცლებისა, მავთულებისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.

ახალი ვერცხლისა (მელქიორისა, ალფენიდისა) მივაქცევ თქვენს ყურადღებას ფურცლებზე, მავთულებზე და სუფრის მოწყობილობაზე (პრიბორზე): კოვზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის და ჩაის დესერტის ხონჩებზე (ბლუდებზე), სამოვრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, სტაქნის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა შინაურს და საეკლესიო საგნებზე: კანკელებზე ბარძიმ-ფეშხუმზე, საცეცხლურზე, შანდლებზე, და სხვათა საეკლესიო ნივთებზედ.

გარდა ამიებისა არის კიდევ სხვა სახლის მშვენიერი მოწყობილებანი: ლიუსტრები, ხილის და შამფანსკისათვის ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, სურები, ბაკალები, სანიცრეები და სხვ.

ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მკვიდრო და რიგიანის ხელოვნებით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ განყოფილებებში:

1) პეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 ყაზანის სობოროს პირ-და-პირ,
2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტიევის სახლებში,
3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,
4) ნიჟნი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30.

პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქთათ მსურველთ გაეგზავნებათ.

ფაბრიკა ეძებს აგენტებს რეკომენდაციით. (12—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюня 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.